განახლებულია 01.10.2025

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1/Teacher Training Educational Programme 1** 1. ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური), 2. ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური), 3. ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური), 4. გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური), 5. რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური), 6. ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური), 7. სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პროგრამა არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას, კურსდამთავრებული მოიპოვებს შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლობის უფლებას.
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	**ლელა თავდგირიძე -** პროფესორი, ელ.ფოსტა: lela.tavdgiridze@bsu.edu.ge **ქეთევან შოთაძე** – ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: qetevan.shotadze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (დამოუკიდებლად მოქმედი) დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ან შესაბამისი სახელოვნებო/სასპორტო/სამხედრო პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც წარმატებით აქვს ჩაბარებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით“ განსაზღვრული საგნის გამოცდა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წინამდებარე პროგრამით განსაზღვრული გამოცდა; ✓ ბაკალავრიატში ინტეგრირებულ მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე დაიშვება სტუდენტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა

	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნის/-საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე და დაფარული აქვს ბაკალავრიატის პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადაპტირებადი საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის მასწავლებლის მომზადება, რომელიც: ✓ ფლობს მასწავლებლის პროფესიისთვის აუცილებელ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ცოდნას, საგნის სწავლების თანამედროვე მეთოდიკას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის; ✓ პროფესიულ საქმიანობაში მიზნობრივად იყენებს სწავლებისა და შეფასების ციფრულ კომპეტენციებს, სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს და ნერგავს მათ მოსწავლეთა მიღწევების გასაუმჯობესებლად; ✓ უზრუნველყოფს უსაფრთხო, ინკლუზიური და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნას; მოსწავლეებში თვითრეგულირებადი ქცევისა და სწავლის უნარების განვითარების მხარდაჭერას, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობას ✓ ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე; მოსწავლეებთან, კოლეგებთან და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან აქტიურ თანამშრომლობაზე.
სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: ✓ აღწერს ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტების მოთხოვნებს, სწავლა/სწავლების თანამედროვე მიდგომების, ინოვაციური ტექნოლოგიების, მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით შეიმუშავებს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა/ წარმართვის გზებს; ✓ აფასებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობას, შეიმუშავებს შეფასების სქემებსა და რუბრიკებს, აანალიზებს და აუმჯობესებს შეფასების სისტემას, მიზნობრივად იყენებს თითოეული მოსწავლის პროგრესისა და სასწავლო პროცესის დახვეწისათვის; ✓ ქმნის სწავლის გამოცდილებას, რომელიც ეფუძნება განათლების მეცნიერებაში დაგროვილ ცოდნას, საუკეთესო პრაქტიკას, კვლევას და ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ

	მსწავლელად ჩამოყალიბებას და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას; ✓ გეგმავს და ახორციელებს კლასგარეშე საქმიანობებს მოსწავლეების ინტერესებისა და მრავალმხრივი უნარების განვითარებისათვის მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით; ✓ შეუძლია უსაფრთხო, ინკლუზიური, თანასწორი, კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ცალკეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირებას, თანამშრომლობით სწავლებას და სწავლის პროცესში მათ აქტიურ ჩართვას; ✓ იყენებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა და ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიებს; ამყარებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თემთან ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ კომუნიკაციას და საქმიან თანამშრომლობას სკოლისა და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე; ✓ აფასებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, თანამშრომ-ლობითი კულტურის ჩამოყალიბებას, მშობელთა/მეურვეთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას; ✓ იცავს ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, ხელს უწყობს მოსწავლეებში ღირებულებების დამკვიდრებას.